პერსონალური მონაცემების
სახელმძღვანელო სკოლებისთვის

ლევან ალაფიშვილი
მთავარი მკვლევარი

„მშობლები განათლებისთვის“

2020

სარჩევი

შესავალი 4

დასაწყისი: კითხვა-პასუხით ახსნილი 7 მთავარი საკითხი 5

პერსონალური მონაცემების მარეგულირებელი კანონმდებლობა 8

მაგალითებით ახსნილი პერსონალური მონაცემები 15

დასასრული: ჩვენი 3 რჩევა 17

შესავალი

მოსწავლეები, მოსწავლეთა ოჯახის წევრები, პედაგოგები, ადმინისტრაციული პერსონალი - ყველა ეს ადამიანი, ერთის მხრივ, არის ინფორმაციის წყარო და სუბიექტი, ხოლო მეორეს მხრივ, თვითონ კრებს, ამუშავებს და ავრცელებს ინფორმაციას. სკოლა, როგორც ყველა ამ ადამიანის და ინფორმაციის შემკრები დაწესებულება პასუხისმგებელია, ერთის მხრივ, შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების ლეგიტიმური მიზნებით შეკრება-დამუშავებას, ხოლო, მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს მისი პერსონალის ცნობიერების ამაღლებას და მათ მიერ მონაცემების დამუშავების კოორდინაციას.

სახელმძღვანელოს მიზანია, სკოლაში თავმოყრილ ყველა ადამიანს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია პერსონალური მონაცემებისა და მათი დაცვის შესახებ.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვან საკითხებზე მოცემულია მაგალითები, რომლებიც მოწოდებული და დამუშავებულია სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ.

სახელმძღვანელოს ერთვის პერსონალური მონაცემების სამსახსოვროს ფორმები, რომელთა შევსება და პერიოდული განახლება მკითხველს საშუალებას მისცემს გაიაზროს პერსონალური მონაცემების არსი და მნიშვნელობა, აგრეთვე დაიცვას პერსონალური მონაცემების დამუშავების მინიმალური სტანდარტები.

სახელმძღვანელოს გამოყენებით ხელს შევუწყობთ ცნობიერების ამაღლებას, დისკუსიებს და ზოგადი განათლების სისტემაში პერსონალური მონაცემების მართვის სისტემის გაუმჯობესებას. სახელმძღვანელოში მისთვის საინტერესო კითხვაზე პასუხს იპოვის მოსწავლეც, მისი მშობელიც, მასწავლებელიც და სკოლის ადმინისტრაციაც.

პროექტი „სკოლებში პერსონალური მონაცემების დაცვის პილოტირება“ განხორციელდა „ღია საზოგადოების ფონდი“-ს ფინანსური მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოში გადმოცემული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს „ღია საზოგადოების ფონდი“-ს და არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ პოზიციას.

დასაწყისი: კითხვა-პასუხით ახსნილი 7 მთავარი საკითხი

1. რა არის პერსონალური მონაცემები?

პერსონალური მონაცემი არის ადამიანთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ჩაწერილია, შენახულია ან გავრცელებულია ნებისმიერი ფორმით.

- √ ადამიანის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რომელ სკოლაში და რომელ კლასში სწავლობს, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი, ოჯახური მდგომარეობა, თვალის ფერი, რელიგიური კუთვნილება, საუბრის ან სიარულის მანერა, ჯანმრთელობის ინფორმაცია, მოსწავლის შეფასება და კიდევ მრავალი სხვა არის პერსონალური მონაცემი, თუკი შესაძლებელია ამ ინფორმაციით ადამიანის გამოცნობა-იდენტიფიკაცია.
- √ პერსონალურ მონაცემებს შეიცავს საკლასო და ელექტრონული ჟურნალი, მასწავლებლის სასკოლო უბის წიგნაკი მაიდენტიფიცირებელი ჩანაწერებით, მოსწავლის პირადი საქმე, პედაგოგიური საბჭოს და კათედრის სხდომის ოქმი, ბიბლიოთეკის პირადი აღრიცხვის ბარათი, მოსწავლის საშინაო დავალების რვეული ან საკონტროლოს რვეული, რომელშიც მოსწავლის შეფასება არის მოცემული.

2. რა ფორმით არსებულ ინფორმაციას ეწოდება პერსონალური მონაცემი?

პერსონალური მონაცემი შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს ჩაწერილი, დამახსოვრებული თუ გადმოცემული.

- √ კლასელის, მასწავლებლის, მშობლის თუ ოჯახის წევრის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება ვიცოდეთ და იგი არსებობდეს ჩვენს მეხსიერებაში - ამ შემთხვევაში ჩვენს ტვინში შენახულ თუ განახლებულ ინფორმაციას კანონი არ არეგულურებს. მაგრამ, როგორც კი ამ ინფორმაციას გამოვიყენებთ და დავწერთ ფურცელზე, დაფაზე თუ კომპიუტერულ ფაილში, მოვუყვებით სხვას, ჩავწერთ ვიდეო ან აუდიო ფორმით ან გავავრცელებთ სოციალურ ქსელში - იგი მოექცევა კანონის მოქმედების არეალში და საჭირო გახდება გარკვეული წესების დაცვა.
- √ ადამიანის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით შეიძლება გადმოიცეს.

ადამიანის თვალის ფერის ან მხედველობის პრობლემის შესახებ ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს და გადმოცეს მისი ფოტოსურათით, ვიდეოჩანაწერით. ამ ინფორმაციის გადმოცემა შესაძლებელია სიტყვებითაც: „ალექსანდრეს ზ.-ს აქვს მწვანე ფერის თვალები და ატარებს სქელმინიან სათვალეს“. ამ სიტყვებით არსებული პერსონალური მონაცემი შეიძლება გავავრცელოთ საუბარში, შეიძლება ჩავწეროთ ბლოკნოტში, გავაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით ან გავავრცელოთ სოციალურ ქსელში.

3. ფოტო და ვიდეოგადაღებისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

ადამიანის გამოსახულება და მისი სხეულის მახასიათებლები არის ამ ადამიანის პერსონალური მონაცემი. არათუ გამოსახულება, არამედ ვიდეოჩანაწერში აღბეჭდილი ადამიანის ქცევის მახასიათებელიც (ჟესტიკულაცია, მეტყველებისა თუ სიარულის მანერა) არის პერსონალური მონაცემი.

- √ სხვადასხვა ღონისძიებების ფოტო და ვიდეოგადაღებისას საჭიროა დავიცვათ იქ არსებული წესები.
- √ მიზანშეწონილი იქნება თუკი სკოლას დადგენილი ექნება სასწავლო პროცესში სკოლის ტერიტორიაზე ფოტო და ვიდეოგადაღების წესები.

4. რა უნდა გვახსოვდეს სხვა ადამიანის ფოტო ან ვიდეო გამოსახულების გავრცელებისას?

ადამიანის გამოსახულების გავრცელებისას ვავრცელებთ ადამიანის პირად მონაცემს.

- √ ადამიანის გამოსახულების გავრცელებისას მიზანშეწონილია, გამოყენებაზე თანხმობა მივიღოთ თვით იმ ადამიანისგან, რომლის გამოსახულების გავრცელებასაც ვაპირებთ.
- √ საკუთარი გამოსახულების გავრცელებისას შეგვიძლია, მასზე გაფრთხილების მინაწერის გაკეთება, რომ თანხმობის გარეშე არავინ გამოიყენოს ეს ინფორმაცია ნებისმიერი ფორმით. თუკი ასეთ გაფრთხილებას არ გავაკეთებთ, ჩვენი საჯაროდ გავრცელებული ფოტოსურათის გავრცელება შეუძლია შესაბამის აუდიტორიას ჩვენი თანხმობის გარეშე და ეს არ იქნება დარღვევა.
- √ თუკი ფოტო გადაღებულია საჯარო ვითარებაში ან მასზე გამოსახულია რამდენიმე ადამიანი, ცალკეულ ერთ ადამიანს არ შეუძლია ფოტოს გავრცელების შეზღუდვა, თუმცა შეუძლია მოითხოვოს მისი გამოსახულების დაფარვა.
- √ ფოტო და ვიდეოგამოსახულების გავრცელების წესები ერთნაირად ვრცელდება ყველა ადამიანზე. მცირეწლოვანი ადამიანის ფოტოს გავრცელებისას მშობელი, ბებია და პაპა თუ და-ძმა ვალდებულნი არიან პატივი სცენ მათი შვილის, დის, ძმის თუ შვილიშვილის უფლებას.

5. რა ინფორმაციის დამუშავება შეუძლია სკოლას?

სკოლას შეუძლია იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც სჭირდება მოსწავლეთა განათლების მიღების უზრუნველყოფისთვის.

- √ მოსწავლის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ფოტოსურათი, მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების ვინაობა, მოსწავლის და მისი

მშობლების საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი თუ ელექტრონული ფოსტის მისამართი, მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ინფორმაცია, მისი გაკვეთილებზე დასწრება და აკადემიური მოსწრების მონაცემები ეს არის მინიმალური ინფორმაცია, რომელთა გარეშეც სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის სათანადო განათლებას.

√ მოსწავლის მშობლის ასაკი, განათლება, პროფესია, სამუშაო ადგილი არის ის ინფორმაცია, რომლის არარსებობის პირობებშიც სკოლა შეძლებს მოსწავლის სათანადო განათლების უზრუნველყოფას.

√ მოსწავლის მშობლის ან ოჯახის წევრის მონაცემების გამოყენება დასაშვებია მისი თანხმობით იმ შემთხვევაში თუ ეს მონაცემები სკოლას სჭირდება განათლებასთან დაკავშირებული ლეგიტიმური მიზნებისთვის. ასეთი შეიძლება იყოს მშობლის ან ოჯახის წევრის თანხმობით მისი გამოყენება პროფესიული ორიენტაციისათვის ან ლექციის ჩატარება მშობლის მიერ.

6. რა ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია მშობელს და ბავშვს სკოლიდან?

მშობელს და მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სკოლას წერილობითი ფორმით და მოითხოვოს სკოლისაგან აცნობოს მოსწავლის შესახებ რა ინფორმაციას ამუშავებს (იწერს, ინახავს, განაახლებს, ცვლის, შლის, ავრცელებს თუ სხვას გადასცემს). ასეთ მოთხოვნაზე სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუმეტეს 10 დღის ვადაში გასცეს პასუხი.

7. ვის შეუძლია გაუაზიაროს სკოლამ მოსწავლის მონაცემები?

სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება. სკოლამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე არ უნდა გადასცეს სხვას მოსწავლის პერსონალური მონაცემები.

√ სკოლამ მოსწავლის გარკვეული მონაცემები შეიძლება გადასცეს თვითონ მოსწავლეს ან მის მშობელს, აგრეთვე მოსწავლის ან მისი მშობლის წერილობითი თანხმობისას სხვა ადამიანებსა თუ დაწესებულებებს.

√ ცალკეულ შემთხვევაში მოსწავლის პერსონალური მონაცემების ნაწილი შეიძლება გადაეცეს სასამართლო თუ საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანოებს.

პერსონალური მონაცემების მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოში ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების კანონმდებლობა 4 მთავარი კანონისგან შედგება. ეს არის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ და კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. პერსონალურ მონაცემებს შეეხება ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი სხვადასხვა კანონიც.

საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით, სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

პერსონალური მონაცემების მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოში ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების კანონმდებლობა 4 მთავარი კანონისგან შედგება. ეს არის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ და კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. პერსონალურ მონაცემებს შეეხება ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი სხვადასხვა კანონიც.

საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით, სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია რომელიც დაკავშირებულია ადამიანის

(1) ჯანმრთელობასთან,

(2) ფინანსებთან ან

(3) სხვა პირად საკითხებთან,

კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე. კონსტიტუციის ეს დებულება დასაშვებს ხდის დასახელებულ 3 სფეროში ადამიანის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და შენახვას, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად.

ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემების საკითხებს შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და მე-18 მუხლები

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.

7. მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

1. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

3. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

4. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს და არეგულირებს ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებების საქმიანობისას შექმნილი, მიღებული თუ შენახული ინფორმაციის შემდეგ სახეებს განსაზღვრავს:

(ა) საჯარო ინფორმაცია;

(ბ) პერსონალური მონაცემები;

(გ) კომერციული საიდუმლოება;

(დ) პროფესიული საიდუმლოება;

(ე) სახელმწიფო საიდუმლოება;

საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, შენახვის ფორმის მიუხედავად, გარდა პერსონალური, კომერციული, პროფესიული ან სახელმწიფო საიდუმლოებისა. საჯარო ინფორმაციისთვის ასეთი სტატუსის მინიჭება და თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება არ არის საჭირო. საჯარო ინფორმაცია ღიაა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის.

პერსონალური მონაცემები არის საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია რომელიც შეეხება კონკრეტულ ადამიანს და რომლითაც შესაძლებელია ამ ადამიანის იდენტიფიცირება. პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომია თვით იმ ადამიანისთვის ვის შესახებაც არსებობს ინფორმაცია, აგრეთვე ამ პირის თანხმობით სხვა პირებისთვის.

კომერციული საიდუმლოება არის საჯარო დაწესებულებაში წარდგენილი და იქ დაცული კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელსაც კომერციული საიდუმლოების სტატუსი ინფორმაციის წარმდგენის მოთხოვნით მინიჭებული აქვს თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით. კომერციული საიდუმლოების სტატუსის მქონე ინფორმაცია ხელმისაწვდომია თვით იმ ადამიანისთვის ან ორგანიზაციისთვის ვის შესახებაც არსებობს ინფორმაცია, აგრეთვე ამ პირის თანხმობით სხვა პირებისთვის.

პროფესიული საიდუმლოება არის ის პერსონალური ან კომერციული ინფორმაცია, რომელიც საჯარო მოხელისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

სახელმწიფო საიდუმლოება არის საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომელსაც განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის გამო უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მინიჭებული აქვს სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსი. სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ კანონით განსაზღვრული კატეგორიის პირებისთვის, რომელთაც უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მიენიჭებათ ინფორმაციის გაცნობის უფლება, ექნებათ ამ ინფორმაციასთან დაშვება. არსებობს სახელმწიფო საიდუმლოების შემდეგი კატეგორიები/ხარისხები: (ა) განსაკუთრებული კატეგორიის საიდუმლოება; (ბ) სრულიად საიდუმლო; (გ) საიდუმლო; (დ) შეზღუდული სარგებლობისთვის. სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“. გარკვეული სახის და კატეგორიიის პერსონალური მონაცემი შეიძლება იყოს სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მატარებელი.

ჯანმრთლობის დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობისას პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხები, რომელთა შორისაც არის პაციენტის პერსონალური ინფორმაცია.

სამედიცინო დაწესებულებები აწარმოებენ ჩანაწერებს პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ, მკურნალობისას პაციენტისგან ან მათი წარმომადგენლებისგან იღებენ სხვადასხვა ინფორმაციას, ინახავენ და შესაბამის დაწესებულებებს გადასცემენ პაციენტის ინფორმაციას.

სამედიცინო დაწესბულება ან ექიმი ვალდებულია პაციენტის ინფორმაციის საიდუმლოება დაიცვას უვადოდ, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად ექიმები, სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო საიდუმლოება, რომელსაც საექიმო ვალდებულებასაც უწოდებენ.

სამედიცინო საიდუმლოება არის სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექიმისათვის მიმართვის ფაქტიც არის სამედიცინო საიდუმლოება.

საექიმო საიდუმლოების გამჟღავნება შესაძლებელია თუკი ამას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ცალკეულ შემთხვევებში სამედიცინო პერსონალს კანონით ეკისრება ვალდებულება, რომ შესაბამისი პროფილის საჯარო დაწესბულებებს გადასცენ ინფორმაცია თუკი:

- მკურნალობისას პაციენტს დაუდგინდა გადამდები დაავადების დიაგნოზი,
- მკურნალობისას პაციენტს აღმოაჩნდა სხეულის ფიზიკური, ქიმიური, სხივური, თერმული დაზიანებები,
- სამედიცინო დაწესებულებაში არის უპატრონო ან ამოუცნობი გარდაცვლილი.

პაციენტს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი ფორმის მოთხოვნა

წარუდგინოს სამედიცინო დაწესებულებას და გაეცნოს სამედიცინო ჩანაწერებს ან მიიღოს მათი ასლები. პაციენტის უფლებაა, აგრეთვე მოითხოვოს ამ ჩანაწერებში შესწორებების შეტანა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების სტატუსი და სახეები, აგრეთვე პერსონალური მონაცემების მფლობელთა უფლება-მოვალეობები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სახელმწიფო საუდუმლოების შესახებ კანონისგან განსხვავებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით რეგულირდება როგორც კერძო, ასევე საჯარო დაწესებულებების მიერ ადამიანის და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის საკითხები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი ასე განმარტავს პერსონალურ მონაცემს: პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი არეგულირებს მხოლოდ ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების საკითხებს.

დამუშავებისა და დაცვის ხარისხის მიხედვით პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი პერსონალური მონაცემების შემდეგ კატეგორიებს გამოყოფს: განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, ბიომეტრიული მონაცემი და გენეტიკური მონაცემი.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

> **ბიომეტრიული მონაცემი** არის ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებელი).
>
> **გენეტიკური მონაცემი** არის მონაცემთა სუბიექტის უნიკალური და მუდმივი მონაცემი გენეტიკური მემკვიდრეობის ან/და დნმ-ის კოდის შესახებ, რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით **პერსონალური მონაცემების დამუშავება** ნიშნავს ამ ინფორმაციის მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას. ასეთი მოქმედება შეიძლება იყოს მონაცემების:

- შეგროვება,
- ჩაწერა,
- ფოტოზე აღბეჭდვა,
- აუდიოჩაწერა,
- ვიდეოჩაწერა,
- ორგანიზება, დაჯგუფება ან კომბინაცია,
- შენახვა,
- შეცვლა,
- აღდგენა,
- გამოთხოვა,
- გამოყენება,
- გამჟღავნება, სხვათათვის ხელმისაწვდომობა, გასაჯაროება,
- დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

პერსონალური მონაცემების დამუშავება ნიშნავს ინფორმაციის დამუშავებას ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით.

დაწესებულებამ პერსონალური მონაცემების გამოყენებისას უნდა დაიცვას **მონაცემთა დამუშავების შემდეგი პრინციპები:**

- მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად,
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად,
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და კანონიერი მიზნებისათვის,
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად,
- მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი,
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი, და განახლებადი,
- მონაცემები შენახულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც საჭიროა დამუშავების მიზნის მისაღწევად,
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემების უსაფრთხოება და დაცვა.

მიზნის მიღწევის შემდგომ ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს. დასაშვებია ამ მონაცემების შენახვა პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

ინფორმაციის მგრძნობიარობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მიმართ გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით დადგენილია დამატებითი დაცვის პირობები. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, როგორც წესი აკრძალულია. აკრძალვიდან არსებობს 2 გამონაკლისი:

1) არსებობს იმ პირის წერილობითი თანხმობა, რომლის მონაცემებიც მუშავდება

2) არსებობს ერთ-ერთი პირობა:

- ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ურთიერთობებისთვის,
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს,
- მონაცემები მუშავდება ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნებისთვის,
- თვით მონაცემთა სუბიექტმა გახადა საჯარო მისი განსაკუთრებულიო კატეგორიის პერსონალური მონაცემები და ამასთან, მონაცემების გამოყენების აკრძალვის შესახებ ცხადად არ განუცხადებია,
- მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას,
- მონაცემები მუშავდება სასჯელის აღსრულების პროცესის უზრუნველყოფის მიზნებისთვის,
- მონაცემები მუშავდება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით,
- მონაცემები მუშავდება დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მიზნით,
- მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის,
- მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით,
- მონაცემები მუშავდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნებისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით დადგენილია ვიდეომონიტორინგის წესები, რომლის დარღვისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

ყველა საჯარო დაკერძო დაწესებულებას აქვს მის მფლობელობაში არსებული შენობების ვიდეოთვალთვალის წარმოების უფლება იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია:

- პირის უსაფრთხოების დაცვისთვის,
- საკუთრების დაცვისთვის,
- არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვისთვის,
- საიდუმლო ინფორმაციის დაცვისთვის,
- გამოცდის ან ტესტირების მიზნებისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ დასაშვებია მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის ვიდეომონიტორინგი. ამასთანავე, ვოდეომონიტორინგისას ან ვიდეოჩაწერისას არ უნდა წარმოებდეს ხმოვანი მონიტორინგი და ჩაწერა ანუ საუბრების მიყურადება.

ვიდეოთვალთვალისას სავალდებულოა თვალსაჩინო ადგილას შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსება, რომლითაც ცხადი და გასაგები ფორმით მიეწოდება მოქალაქეს ინფორმცია ვიდეომონიტორინგის შესახებ.

აკრძალულია ვიდეოთვალთვალი სველ წერტილებში, გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

ყველა, ვინც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს ვალდებულია უზრუნველყოს ამ მონაცემების დაცვა. მონაცემების დაცვა გულისხმობს ყველა საჭირო ღონისძიების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

მოქალაქეს უფლება აქვს დაწესებულებას მოსთხოვოს ინფორმაცია, ამუშავებს თუ არა ამ მოქალაქის შესახებ მონაცემებს. ასეთ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია მოქალაქეს არაუგვიანეს 10 დღის ვადაში მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება,
- მონაცემთა დამუშავების მიზანი,
- მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი,
- რა გზით შეგროვდა მონაცემები,
- ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

მონაცემთა სუბიექტი მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი დაწესებულება ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისთვის, მონაცემების დამუშავების წესებისა და პროცედურების დარღვევისთვის დადგენილია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისთვის მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.

მაგალითებით ახსნილი პერსონალური მონაცემები

მშობლის მონათხრობი: ჩემს შვილს დიაბეტი აქვს. შესაბამისად ყველგან, სადაც ის იმყოფება, ხელშეწყობა სჭირდება. მათ შორის სკოლაშიც. რა ინფორმაცია უნდა გადავცე სკოლას და სკოლას რა ვალდებულებები ეკისრება?

მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემები განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს და მის დამუშავებას სჭირდება წერილობითი თანხმობა. სკოლას ეს ინფორმაცია სჭირდება ამ მოსწავლის განათლების უზრუნველყოფისთვის, შესაბამისი რეჟიმისა თუ გამონაკლისების დადგენისთვის. მოსწავლის ჯანმრთელობის ცნობა თუ ინფორმაცია, რომელიც სკოლაში ინახება არ უნდა იყოს სკოლის ყველა თანამშრომლისთვის ან მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი

ან ცნობილი. ეს ინფორმაცია სჭირდება კონკრეტულ თანამდებობის პირებს, სპეციალურ მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციას, კლასის პედაგოგს და დამრიგებელს, აგრეთვე სკოლის ექიმს ან მედდას. გასათვალისწინებელია, რომ ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობა ფიზიკური სახითაც არის გამოხატული. ასეთი შეიძლება იყოს, მხედველობის, მეტყველების თუ გადაადგილების მახასიათებლები. ამ შემთხვევაში რეგულირებას ექვემდებარება არა მონაცემების შენახვა, არამედ მისი ჩაწერა-შენახვის საჭიროების, არადისკრიმინაციულობისა და ეთიკურობის პრინციპების დაცვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის გავრცელება.

სკოლის დირექტორის მონათხრობი: ყოველწლიურად ბრძოლა მიწევს სამხედრო კომისარიატთან, როცა წვევამდელების მონაცემებს ითხოვენ ჩემგან. არ ვიცი, მაქვს თუ არა ბავშვების პერსონალური მონაცემების გაცემის უფლება. კარგი იქნებოდა, ვინმეს ეთქვა ამის შესახებ.

სამშობლოს დაცვის ვალდებულება არის საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციური ვალდებულება. კანონით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდებათ 20 წლის ასაკამდე. ამ ინფორმაციის სამხედრო-სააღრიცხვო ორგანოსთვის წარდგენა არის მოქალაქის ანუ მოსწავლის ვალდებულება. სამხედროვალდებულთა აღრიცხვა კანონის საფუძველზე აკისრიათ ადგილობრივ მერიებს. ამდენად, კონკრეტული მოსწავლის გვარის, სახელის, სქესის, დაბადების თარიღის და კონკრეტული სკოლის კონკრეტულ კლასში სწავლის შესახებ ინფორმაცია/ცნობა შეიძლება გადაეცეს მოსწავლეს და მან წარადგინოს ადგილობრივ სამხედრო-სააღრიცხვო ორგანოში. სკოლას შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს ამ ვალდებულების შესრულებაში და ინფორმაცია თვითონ მიაწოდოს ადგილობრივ სამხედრო-სააღრიცხვო ორგანოს.

მოსწავლის მონათხრობი: ერთ დღეს გაკვეთილზე მასწავლებელმა გვკითხა, სოციალურად დაუცველები ვინც ხართ, ხელი აიწიეთო. რაღაც პროგრამაში უნდა ჩაგსვათ და უფასოთ ისარგებლებთო. ჩემი ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, მაგრამ კლასში ამის თქმა არ მინდოდა. ძალიან შემრცხვა, თვალები დავხუჭე, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ყველა მე მიყურებდა. მაგრამ ხმის ამოღება ვერ გავბედე. არ მითქვამს, რომ მე ვარ სოციალურად დაუცველი. არ მინდოდა, ჩემს თანაკლასელებს ამის შესახებ გაეგოთ.

პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად. ეს არის პერსონალური მონაცემების მართვის კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის დაუცველობა ნიშნავს კანონის დარღვევას. ამასთანავე, ადამიანის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი და სკოლის მიერ მისი დამუშავება ამ პირის/ოჯახის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. ამდენად, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება არ გაასაჯაროოს ინფორმაცია თავისი და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

მშობლის მონათხრობი: ერთ დღეს ჩემი შვილის თმებში ტილები შევნიშნე. გული გამისკდა, აღარ მეგონა, თუ კიდევ არსებობდა ეს დაავადება. მაშინვე მშობლების დახურულ ჯგუფში დავწერე ეს ამბავი. აღმოჩნდა, რომ მთელ სკოლაში გავრცელებული ყოფილა და ისიც გავიგეთ ვინ გაავრცელა ეს პრობლემა. იმ ბავშვის დედა ჩუმად იყო და ხმა არ ამოუღია, ხო შეიძლება სკოლის ექიმი შევიდეს კლასში და გაუხილოს თმები ამ ბავშვებს, როგორც ჩვენ დროს იყო? რატომ არ აკეთებენ ამას, ვერ გავიგე.

მოსწავლის ჰიგიენის შესახებ ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი. მშობლებს კანონით აკისრიათ ვალდებულება დაიცვან მცირეწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, მათ შორის უფლება, არ გავრცელდეს ჰიგიენის შესახებ ინფორმაცია. განსახილველ შემთხვევაში გავრცელებულია მონაცემები 2 მცირეწლოვანი მოსწავლის ჰიგიენის შესახებ. ერთ შემთხვევაში სამწუხაროდ მშობელმა, შესაძლოა უნებლიედ და კეთილი ზრახვებით საკუთარი შვილის პერსონალური მონაცემები გახადა საჯაროდ მისი თანხმობის გარეშე.

მშობლის მონათხრობი: ჩემი შვილი ძალია ცელქია. მუდამ არღვევს სკოლის შინაგანაწესს და ხშირად მანდატური დარღვევის აღრიცხვის ფურცლით ასახავს ამ დარღვევებს. ე.წ. ოქმს ადგენს. ძალიან მეშიანი, ეს ოქმები პოლიციას ან სხვა უწყებას არ გადაუგზავნონ და არ დამეღუპოს შვილი. აქვს სკოლას ამ ინფორაციის გაცემის უფლება?

მოსწავლის ქცევის და დისციპლინური ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია არის მისი პერსონალური მონაცემი და მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია ამ მონაცემის სხვისთვის გადაცემა. კანონით მკაცრად განსაზღვრულ, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ამ მონაცემების უფლებამოსილი ორგანოსთვის გადაცემა დანაშაულის აღკვეთა-რეაგირების ან ფსიქოსოციალური მიზნისთვის.

დასასრული: ჩვენი 3 რჩევა

1. მოსწავლეებმა, მშობლებმა და სკოლის პერსონალმა იმსჯელეთ და ჩამოაყალიბეთ პერსონალური მონაცემების მართვის სტანდარტები და პოლიტიკის დოკუმენტი. ეს იქნება თქვენი სახელმძღვანელო დოკუმენტი რომლითაც იმოქმედებთ სასწავლო პროცესის განმავლობაში.

2. სკოლამ შექმნას ან გაწევრიანდეს მხოლოდ მის მიერ ადმინისტრირებად ჯგუფში სოციალურ ქსელებში თუ ონლაინპლატფორმებზე. ეს შეიძლება იყოს მშობელთა, პედაგოგთა თუ კლასების ჯგუფები, რომლითაც სკოლასა და პედაგოგს მოსწავლეებთან თუ მშობლებთან აქვთ ეფექტური კომუნიკაცია. ამ ჯგუფებში შეგეძლებათ, თქვენს მიერვე დადგენილი სტანდარტების დაცვით ინფორმაციის გავრცელება და დისკუსიები.

3. მიზანშეწონილი იქნება თუკი მოსწავლეების, მშობლების და სკოლის პერსონალის ჩართულობით სკოლა შეარჩევს პერსონალურ მონაცემების მენეჯერის ფუნქციის მქონე პირს. პერსონალური მონაცემების სტანდარტებისა და პოლიტიკის დაცვაზე ზრუნვა უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა მენეჯერის ფუნქცია. მიზანშეწონილი იქნება, რომ სკოლის/პერსონალის ყველა ონლაინანგარიშის შექმნა იყოს მენეჯერის კომპეტენცია და პაროლებს გადასცემდეს პერსონალს. ამასთან, განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ ონლაინანგარიშების შემოწმება ხდებოდეს მხოლოდ სკოლის, ერთ ელექტრონულ ფოსტაზე. პერსონალურ მონაცემთა მენეჯერი უზრუნველყოფს პრაქტიკის განზოგადება-გადახედვას და სკოლის პერსონალის და მოსწავლეების ტრენინგებსაც.

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პერსონალური მონაცემების სამახსოვრო

სამახსოვრო დაგეხმარებათ მართოთ პერსონალური მონაცემები, დასვათ კითხვები
და მიიღოთ პასუხები

რა ინფორმაციას ვამუშავებ	რა მიზნით ვამუშავებ და რაში მჭირდება ეს მონაცემი	სად და როგორ ვამუშავებ, ვიწერ და ვინახავ მონაცემს	რა ვადით ვინახავ მონაცემს	მონაცემი დაცულია თუ შესაძლოა სხვაც გაეცნოს მას

პროექტი „პერსონალური მონაცემების მართვის პილოტირება სკოლებში“ განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“. პროექტის მხარდამჭერია „ღია საზოგადოების ფონდი“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე საშუალო სკოლების პერსონალურ მონაცემთა მართვის სისტემის შექმნა, რომელიც გამოყენებულ იქნა პროექტის სამიზნე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ПРОЕКТИ განხორციელდა „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით